# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ, ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 1 1883—1893 15 იანვარს.

7125

## ახალი 1893 წელიწადი.

რამდენი მილიონი კაცის გული შიშით და ძრწოლით ფეთქს იმ წარმოდგენისა გამო, თუ როგორი იქნება მისთვის ეს ახალი წელიწადი? რა ბედნიერებას მოუტანს იგი მას, ან რა უბედურებას უქადის? ძლიერ ცოტა პირთ შეხვდებით თქვენ, რომელთაც ახალი წლის დამდეგს, კარგად გამოიკვლიონ, და გასინჯონ წარსული დრო, თავიანთი წარსული ცხოვრება და მოქმედება. უმეტესობა ყოველთვის წინ სჭვრეტს, უნდა ფარდა ახადოს და გაიგოს მომავალი თავისი ბედ-იღბალი, თავისი თავგადასავალი, მაგრამ ეს მომავალი ყველასათვის დაფარულია ღვთისაგან, ფარდა ჩამოფარებულია და რამდენიც უნდა ეცადოს კაცი მის წინ და წინ შეტყობას, მაინც ვერ გაიგებს.

ან კი რა საჭიროა მომავალი ბედ-იღბლის შეტყობა ჩვენთვის, რა სარგებლობას მოგვიტანს იგი, წინ და წინ თავის ბედ-იღბლის შეტყობა სურთ იმათ? რომელნიც თავის სიცოცხლეში არ ხელმძღვანელობენ ჭეშმარიტი სარწმუნოებით, რომელნიც ფიქრობენ, რომ კეთილი ცხოვრება, ნეტარება კაცისა და ბედნიერი ცხოვრება დამოკიდებულია მხოლოდ კაცის მოხერხებაზედ, კაცის გამჭრიახობაზედ და ცოდნაზე. კაცი, რომელიც კი ხელმძღვანელობს თავის ცხოვრებაში ჭეშმარიტი სარწმუნოებით, მისთვის სრულებით საჭირო არ არის, შეიტყოს თავისი მომავალი ბედ-

ილბალი, ვინაიდგან ასეთი კაცი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ უფალი ღმერთი არის მისი შემწე და მფარველი. ამისთანა მორწმუნე კაცი უშიშრად ეგებება ყოველ ახალ წელს და სასოებს, რომ უფალი უჩვენებს მას ცხოვრების ახალ გზათა. იგი დარწმუნებულია, რომ სრული სიხარული უფლისათანა არს.

გვაქვს თუ არა ჩვენ უფლება ვისურვოთ ჩვენთვის ანუ სხვისათვის ახალი წლის დამდეგს «ახალი ბედნიერება», როდესაც ჩვენ არ ვიცით არა თუ სხვისი, არამედ ჩვენი საკუთარი თავგადასავალიც ერთი წამის შემდეგ? თუ ჩვენ გვაქვს ჭეშმარიტი სარწმუნოება, მორჩილად უნდა მოვიდრიკოთ თავი წინაშე მეუფისა, რომელიც არის მომცემელი ყოველთა კეთილთა და ვმადლობდეთ ღვთის სახიერებას იმ მოწყალებათათვის, რომელიც მან მოგვივლინა ჩვენ წარსულს წელში. თვალცრემლიანი უნდა ვმადლობდეთ ჩვენ ზეციურ მამას იმ ჯანმრთელობისათვის, რომელიც მოგვანიჭა მან მთელი წარსული წლის განმავლობაში, იმ ნივთიერი საშუალებისათვის, რომელიც მოგვანიჭა ღმერთმა ჩვენი და ჩვენი ცოლშვილის საზრდოდ; უნდა ვმადლობდეთ ღმერთსა იმ მშვიდობიანობის და სიყვარულობისათვის, რომელიც სუფევდა ჩვენსა და მათ შორის, რომლებთანაც ჩვენ ვსცხოვრებდით.

ვსთქვათ, ახალ წელში ჩვენ მოგველის რაიმე მწუხარება და სხვა-და-სხვა უბედურებანი. განა ამ შემთხვევაში მწუხარებას უნდა მივეცეთ და ჩავარდეთ სასოწარკვეთილებაში? არა! ამ მწუხარებისა და უბედურებისა გამო ჩვენ არ უნდა დავკარგოთ სარწმუნოება ღმერთზე და მის შეწევნაზედ. რამდენათაც უფრო მომეტებული უბედურება და მწუხარება შეგვხვდება ცხოვრებაში, იმდენად უფრო ხშირად უნდა შევევედროთ და მივიქცეთ ღვთისადმი, რომელმაც რქვა: „და მხადე მე დღესა ჭირისა შენისა, და მე გიხსნა შენ, და მადიდო მე“ (ფსალმუნი 49, 15). ერთ წამსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი გაჭირების და უბედურების დროს, ჩვენ უვნებლად დავრჩებით, თუ ჩვენში ღვივის ჭეშმარიტი სარწმუნოება ღვთისა, ის სარწმუნოება, რომელიც წარმოსთქვა ფსალმუნთ-მგალობელმა მეფე დავითმა ერთ გაჭირვების დროს შემდეგი სიტყვებით: „ღმერთია ჩვენი შესავედრებელი და ძალ, შემწე ჭირსა შინა“ (ფსალ. 45, 1).

ჩვენ ვართ ქრისტიანენი, ვართ მიმდევარნი ქრისტესი და განა შეგვიძლია ავსცდეთ ყოველივე მწუხარებას ცხოვრებაში და ისე განვლოთ ქრისტესაგან ნაჩვენები გზა ცხოვრებისა, რომელიც გამოხატულია მაცხოვრის შემდეგ სიტყვებში: „რომელსა უნდეს შემოდგომად ჩემდა, უარ-ჰყავნ თავი თვისი, და აღიღენ ჯვარი თვისი და მომდევდინ მე“ (ლუკ. 9, 23). ერთი სიტყვით საჭიროა ჩვენთვის მოთმინება და მოთმინება, სხვა სახსარი ჩვენი ცხოვნებისათვის მეტი არა არის რა.

მაშასადამე როგორ უნდა მივეგებოთ ჩვენ ახალს წელს? როცა ფეხს შევდგამთ ახალს წელში, ჩვენ არ უნდა მივეცეთ მომეტებულს სიხარულს, ვინაიდგან ვუწყით, რომ ყოველივე ის, რაც დღეს ჩვენ სასიამოვნოდ და სასიხარულოდ მიგვაჩნია, შეიძლება ხვალ შეიცვალოს მწუხარებად; არც უნუგეშოდ მწუხარებას უნდა მივეცეთ; როდესაც უფალი მოგვივლენს ჩვენ რაიმე უბედურებას და განსაცდელს, უნდა ვსასოებდეთ, რომ იგივე ღმერთი მოგვანიჭებს ჩვენ ძალას ვსძლიოთ ეს უბედურება და შეუშფოთებლად ვზიდოთ „ჯვარი ჩვენი“, რომლისაც, — უკეთუ ჩვენ არ გარდუხვევთ ქრისტეს გზასა, ვერც ერთი ახალი წელიწადი ვერ მოგვეხსნის ქედიდგან...

დეკ. დ. ღამბაშიძე.

---

# წერილი მეგობართან.

ძმაო იუსტინე!

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც მე და შენ ჩვენმა, ავმა თუ კარგმა, ბედმა ერთმანეთს გაგვაშორა; სიამოვნებით ვიგონებ იმ წამებს, ოდესაც მე და შენ ტკბილს ოცნებას ვეძლეოდით შესახებ ჩვენი მომავალი მოქმედებისა და იდეალების განხორციელებისა ცხოვრებაში. ბევრჯერ მოვინდომე ჩემი ახალი ცხოვრების შთაბეჭდილება და გამოცდილებანი გამეზიარებინა შენთვის ან პირადათ, ან წერილის საშუალებით, მაგრამ ეს ჩემგან ზრახვა დღემდის ვერ მოვახერხე. ამ მოუხერხებლობის მიზეზების დასახელებას არ გაგამოუდგები ამ ჟამად, რადგანაც ეხლანდელი დროჟამის ამბავი შენც თვითონ კარგათ მოგეხსენება...

ვიღებ კალამს ხელში და ვატოკებ ენას: «გაცუდდით» ჩვენი იმედების «ძალნი მოშჯადოებნი!» მაშინ კიდევ ნამდვილს ცხოვრებაში გამოუსვლელით, რა ვიცოდით, თუ ჩვენს ყოველს კეთილ მისწრაფებას სამარის ქვასავით დააწვებოდნენ მავნე და გამცემელი პირები და ბიჯს არ მისცემდენ! მართლა და ცხოვრებაში გამოსვლა და ფეხის შედგმა, ძნელი რამ ყოფილა! ბრძოლა არსებობისათვის შთანთქამს კაცს, თუ რომ იგი მეტის მეტათ მაგარი ხასიათის არ არის. ჩვენი პროვინციალური ცხოვრება ისრე უფერული, უგემური, მდორე, ერთ-ნაირი და მოსაწყენი რამ არის, რომ ცოტაოდნათ გაგებულს კაცს, რომელიც თავისს პირად ინტერესებს საზოგადო ინტერესებს უთმობს, გულზე სისხლი მოედინება დარდისაგან. ამდენ მხარეში კაცი არ არის, რომ «ფიქრი ანდო, გრძნობა შენი გაუზიარო». ყოველგან და ყოველის მხრით: კაცის კვლა, ქურდობა, ავაზაკობა, ლალატი, მექრთამეობა, მლიქვნელობა, ფარისევლობა და «პირფეროობა—უკან ზრახვა», მოკლედ რომ ვთქვათ, ესრედწოდებული ლაქიური თეორია მეფობს. სატირალი და სავალალო ის არის ამ შემთხვევაში, რომ ის კაცები, რომლებისაგანაც საზოგადოებას უფლება აქვს მოითხოვოს ზნეობითნი მაგალითნი, უარეს ჩადიან. პირველს ადგილზე თავისი მიკროსკოპიული «მე» წარმოუსკუპებიათ და ქვენანი გრძნობანი და ანგარიშები კერპათ გაუხდიათ. მე ეხლა დარწმუნებული ვარ, რომ ცხოვრების სუფრა და მაზედ ქეიფობა წილად ხდომიათ ზოგიერთ სულით მახინჯებს, რომლებსაც ყოველივე კაცური, ისრე სძაგთ, როგორც ეშმაკს სამთელ-საკმეველი. განა შენ თვითონ არ წამოგიდგება თვალ წინ ის სკოლის ამხანაგები, რომლებიც მიუხედავათ თავისის უნიჭოებისა და გონებით სიჩლუნგისა წინ წაწეულნი იყვნენ ჯაშუშობა ბეზღობით და ისრე საუცხოვოდ ათავებდნენ სწავლას, ეგონებოდა უცხო კაცს—მათის ფარატინა «დიპლომების» მნახველს, რომ მთელი კაცობრიობის სიბრძნე და მეცნიერება მათ დაბერტყიათ თავსაო. აგეთი დიპლომებით ხშირად უმაღლეს სასწავლებლებში ჰყოფდენ თავს, თუმცა მართალი უნდა მოგახსენოთ, იმათ ანაწყოლ თუ სწავლა-განათლება მიუღიათ, იმასაც კი ვერ შეატყობს კაცი, უკეთუ თავისი «ფარატინა ქაღალდები» შუბლზე არ მიიწეპეს. ნამდვილ ცხოვრებაშიაც თურმე ესრევე არა ყოფილა! მართლის მთქმელს, გინდა არისტოტელის ნიჭი და ბელინსკის ზნეობა ჰქონდეს, ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს და ცალი ფეხი უზანგში უნდა ჰქონდეს შედგმული. წინაალმდეგ ამისა, თუ ცამდის ამაღლება გსურს სამსახურის სარბიელზე, ამისთანა სისულელეებს თავი დაანებე და სამაგიეროთ დედაენა ჰგმე, უფროსს ენა უტანე და «მოლ ჩალინივით» თავი მდაბლათ უკარი ყველას, მოკლედ რომა ვსთქვათ, კაცობაზე და სინდისზე ხელი აიღე და მაშინ მოგეცა სიცოცხლე, შენ წინ ბიჯი წარსდგა.

რა უნდა გააკეთოს კაცმა აგეთ დახავსებულ—დამყაყებულ საზოგადოებაში? თუ რომ მაინცა და მაინც არ დაიშალე და რამე გზით შესძლე რისამე გაკეთება, სწორედ უნდა გითხრა, ეს იქნება თავისთავის განწირვა, გმირობას კი ჩვენისთანა უბრალო მომაკვდავნი ვერ შესძლებენ და ადვილათ შეიქნებიან **პატიოსნებისადმი მისწრაფების მსხვერპლნი.** როგორც ვნახეთ, ნამდვილი ცხოვრება ხომ არაფერს სანუგეშოს იმედს უხატავს მოაზრე კაცს. მივმართოთ ეხლა გონებითს სამფლობელოს, არა პროვინციალურს, არამედ, თუ თქვენი ნება იქნება, მთელი იმ საზოგადოებისას, რომელსაც ერს უწოდებენ, ესე იგი ჩვენს ნორჩს ქართულს ლიტერატურას და გავსინჯოთ. შეუძლია თუ არა იმით საზრდოობა მოაზრე კაცს? რას წარმოადგენს იგი? გონებითი უდაბნოს, სადაც «ოაზისს» ძნელად შეხვდება კაცი. იგი არის უფერული, უსახური, მიმართულება გამოუკვლეველი და განყენებული; უმეტეს შემთხვევაში გაურბის დღიურ ვარამს და თანამედროვე ცხოვრებას; განუზომელი სიტკბოება სალათას ძილში უპოვნია; გამოსდგომია უმნიშვნელო წვრიმალებს და ის კი დავიწყებია, რომ ლიტერატურა ცხადათ უნდა ხატავდეს გონებას, ზნეობას, ხასიათს, და კეთილშობილურ მისწრაფებათა თანამედროვე განათლებულ კაცობრიობისას. წარმოადგენს რასმეს ამისთანას ჩვენი ლიტერატურა? რა კეთილს უნდა მოველოდეთ დღეს? ერთი სიტყვით, თუ რომელიმე ბედნიერმა შემთხვევამ არ გამოაფხიზლა ჩვენი საზოგადოება იმ სალათას ძილისაგან, რომელშიაც ეხლა ის ჩაფლული არის, ყოველივე ჩვენი იმედ-მოლოდინი და საქმე წარსული და დალუპვილი იქნება საუკუნოთ. ერთად ერთ ამ ნაირ გარემოებათ და საშვალებათ, თანახმად თანამედროვე და ყოველის გონივრულის პედაგოგიისა, მე ჩემის მხრით სკოლების გავრცელებას და ახალ თაობის აღზრდას ვსთვლი. აღზრდას ზნეობითს, გონებითს და ფიზიკურს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხა-

როდ და სამგლოვიაროდ სანუკვეშის არც ამ მხრით ვხედავთ რასმეს. ან კი რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ იმ პირთაგან, რომლების ხელშიაც, დღეს, ჩვენი იმედი ახალგაზრდობის სვებედი არის ჩავარდნილი! ამ ერთი წლის წინად ზოგიერთ ვაჟბატონებთან ლაპარაკი მომიხდა შესახებ დედა-ენისა და აღზრდისა. დედა ენას ხომ სულ ერთიან უარს ეუბნებიან და ჰგმობენ და ის არის! აქედგან თვითონ გასინჯე და იფიქრე, აღზრდაზე რაღა შეხედულება ექნებათ იმ მოლიკანებს. ერთი იმათთაგანი ი. გ—ლი, რომელსაც შენ კარგათ იცნობ თავისის განთქმულის წიხლაობით მოსწავლეებთან, თავისს პედაგოგიურ—პრაქტიკულ ქცევა-მოქმედებას შიშზე ამყარებს. ამ ვაჟბატონს თუმცა ბევრი უმტკიცე, რომ შიში აღზრდა-წრთვნაში თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერებისაგან განდევნილია თქო და მის მაგიერ აღიარებულია: აღმზრდელს ძრიელ უნდა უყვარდეს მოწაფე ბავშვები; უფროსების ყალიბზე ბავშვების ზომა არ შეიძლება; მას უნდა ესმოდეს უსრულება და უსუსურება ბავშვების ბუნებისა; ის მასწავლებელი არ ვარგა, ვინაც წამ-და-უწუმ ბავშვების ცელქობით მოთმინებიდგან გამოდის და მრისხანებას ეძლევა და თავის მსმენელებზე ყრილობს გულის ჯავრს იმ იმედით, რომ იმათ გახდისთ გამგონეებათ, მეხსიერებათ და გულისხმიერ შეგნებულებათ. ამ ნაირად მხოლოდ დააფრთხობთ ბავშვებს, ხოლო ფრთხობა სულაც არ უწყობს ხელს შემთვისებლობას, რომლისათვის საჭირო არის სულის სიმშვიდე და სიდინჯე—მხიარულება. ერთი სიტყვით აუხსენი, რამდენადაც შემეძლო, რომ აღმზრდელს მართებს მეტის-მეტათ თავის დაჭერა და გამოცდილება ბავშვებთან ქცევა მოპყრობაშითქო, მაგრამ რა! ზოგიერთებს დააჯერებთ რამეს თუ? მათთვის არც ლოგიკა არსებობს არც ჭეშმარიტება; ესენი არიან სასყიდლით დადგინებულნი და არა ნამდვილი პედაგოგები; იმათ თუნდა მილის ლოგიკაც რომ თავზე ამტვრიოთ, მაინც ვერაფერს დააჯერებთ და ერთსა და იგივეს გაიძახიან თუთიყუშებივით. როგორც არ გინახავს ჯიუტი ბავშვი, რომელიც საქმეს ურიგოს ჩაიდენს და ჰკითხავენ: რატომ ჰქენი ესაო? ის პასუხად იძლევა: მიტომაო. სწორედ ასეთ ჯიუტ ბავშვს მაგონებს ის აღმზრდელიც. მოდი და გული ნუ გაგისკდება სიბრაზით კაცს მაშინ, როდესაც წარმოიდგენ საწყალ ბავშვებს ამისთანა აღმზრდელ-მწვრთნელის ხელში. ღმერთმა ყოველი ბავშვი დაიცვას ამისთანა აღმზრდელისაგან! ეს გულ-საკლაობა ორჯერ უფრო მწვავდება მაშინ, როდესაც ამისთანა პირებს დიმქაშები აუჩნდებიან და მათს წყვდიად მოსილ მოქმედებათა აგრძელებენ ხალხში.

შენ თვითონ კარგათ იცი, ჩემო იუსტინე, რომ ამ ჟამად იმერეთის სამღვდელოებამ ეპარქიალური საქალებო სასწავლებელი გახსნა. ძველის მაზრიდამ მხოლოდ ერთმა მღვდელმა შეიყვანა ხსენებულს სასწავლებელში თავისი ქალი. ამ ერთის თვის წინად ქალის პატრონი მოძღვარი, რომელიც უდიპლომო გახლავს, შეხვდა საზოგადოებაში ერთ «დიპლომიანს» მოძღვარს, მუსაიფში, სხვათა შორის, ჩვენი ქალების სასწავლებელზედაც ჩამოვარდა სიტყვა. უდიპლომო მოძღვარმა გვაუწყა, რომ იმასაც შეეყვანა ქალი იმ სასწავლებელში. ეს ამბავი ყველა განათლების მომხრესა და სინდისიერს კაცს სასიამოვნოთ უნდა დარჩენოდა, მაგრამ დახე ჩვენს გაკვირვებას მაშინ, როდესაც «დიპლომიანი» მოძღვარს არაფრად ეჭაშნიკა ეს ამბავი და ზედ ბლაძურად ასრე უთხრა ქალის პატრონს: «ძლიერ შემცდარხარ, მამაო, რომ შენი ქალი შეგიყვანია იმ სასწავლებელშიო; იქანა გაზრდილი ქალი, იცი რაებს, მოგთხოვსო და შენ სადა გაქვს მისი წილი და სხვა»... სხვისა არ ვიცი და ჩემდა თავად, სწორედ თოფი რომ მიმხვდომოდა გულში, ისრე არ მეწყინებოდა, როგორადაც «დიპლომიანის» მოძღვრის სიტყვები მეწყინა. მე იმას მოველოდი, რომ «დიპლომიანები», რადგანაც სწავლა განათლების გემო აქვთ გაგებული, სხვებს უფრო გაახალისებენ სწავლა-განათლებისადმი; მაგრამ ეს კი არა პირიქით აკი აფთხობენ. გამოდის რომ საქმით რომელიმე «უდიპლომოები» სჯობნებიან ზოგიერთთა «დიპლომიანებს». აფერუმ მათ ვაჟკაცობას! ვიკმაროთ ამ ჟამად ამდენ გულსაკლავ ამბებზე ლაპარაკი. არ გეგონოს, ჩემო იუსტინე, რომ მე სასოწარკვეთილებისთვის თავი მიმეცეს და უკეთესს არას მოველოდე! ღმერთმა ნუ ჰქნას ეს! ვებრძოლოთ მედგრათ სულით და გონებით სიმახინჯეთა! გამაგრდი, არ ეუდრკე ცხოვრების უსწორმასწორო კვეთებას:

ცხოვრების ნიშნად სიმართლე გქონდეს,
და სიყვარული მოძმეთა ვალად,
სამშობლო შენი მარად გიყვარდეს,
თუ კი გსურს გახდე ადამიანათ.

შენი ერთგული მეგობარი ვლადიმერ.

# მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ვლადიმირი,

მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა, ეგზარხოსი საქართველოისა.

ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში დღემდის დაბეჭდილი არ ყოფილა დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის ვლადიმირის სამსახურის და მოღვაწეობის შესახებ. დღეს ჩვენ მათი მეუფების სამსახურისა და მოღვაწეობის შესახებ ვკითხულობთ ერთ რუსულ გაზეთ „Русс. Паломникъ"-ში ამისთანა ცნობებს, რომელიც სიტყვა-სიტყვით მოგვყავს ჩვენი მკითხველებისათვის.

გასაკვირველი არ არის, რომ დიდსულიერს დარბისეული ადგილი მიეცა. ამის თქმა გაბედულად შეუძლია ყველას, ვინც კი იცნობს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ვლადიმირს, რომელიც დაინიშნა საქართველოს ეგზარხოსად და წმ. სინოდის წევრად. იგი ისეთი მწყემსმთავარია, რომელიც თუმცა სხვებთან შედარებით ჯერ კიდევ ახალგაზდაა (მათი მეუფება 45 წლისაა), მაგრამ იგი უფრო მომეტებული პატივისცემის ღირსია. ღრმა და გამჭრიახე გონება, კეთილი გული, მტკიცე და უდრეკი ხასიათი, საუცხოვო მჭევრმეტყველობა, წმინდა და კეთილი ცხოვრება, დაუღალავი ენერგია და მისწრაფება სასარგებლო მოღვაწეობისადმი — ყოველივე ესეები ძლიერ მაღლა აყენებენ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ვლადიმირს.

ტამბოვის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ვასილი ნიკანოროვიჩ ბოგოიავლენსკი, დღეს მთავარ-ეპისკოპოსი ვლადიმირი (კურსი დაასრულა მან კიევის აკადემიაში 1874 წ.) სრულებით არ ფიქრობდა იმ მაღალ თანამდებობაზე, რომელზედაც დღეს იგი მოწოდებულია უმაღლესი მთავრობისაგან. ის იყო ერის კაცი და მხოლოდ ამ ათი წლის წინად მღვდლად ეკურთხა, რადგან კარგად შეგნებული ჰქონდა ღვთის ტრაპეზის მოსამსახურის მოვალეობა და მნიშვნელობა. მაგრამ, როგორც სჩანს, ღვთის განგებას ნებავდა, რომ მას მთლად შეეწირა თავი ეკლესიის მოსამსახურედ. ვასილი ნიკანორის ძე ცოლის თხოვნიდგან 3 წლის შემდეგ დაქვრივდა (1885 წ.) და მალე აღიკვეცა ბერად და სახელად ეწოდა ვლადიმირი.

ტამბოვის სემინარიაში მასწავლებლობის დროს მან გამოიჩინა თავი თავისი საკეთილო და სასარგებლო მოღვაწეობით. მის მოწაფეებად ნამყოფნი ყოველთვის დიდის აღტაცებით იხსენებენ თავის გონიერს მასწავლებელს, რომელიც ასწავლიდა მათ სადმრთო წერილს. აგრეთვე მისი ამხანაგებიც და თანამოსამსახურენიც დიდის თანაგრძნობით და სიყვარულით იგონებენ მას.

ბერად აღკვეცის შემდეგ, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ვლადიმირი, არქიმანდრიტის ხარისხით დაინიშნა პირველად სამების კოზლოვის (1885 წ.), ხოლო შემდეგ ნოვგოროდის ანტონის მონასტრის წინამძღვრად (1887 წ.) სწორედ ამ ნოვგოროდში სამსახურით გამოიჩინა თავი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ვლადიმირმა. აქ გამოუჩნდა მას უფრო ვრცელი ასპარეზი მოღვაწეობისა და აქ გამოიჩინა მან თავისი სულის უმაღლესი ძალანი, რომელნიც მიმართულნი იყვნენ სასარგებლოდ ეკლესიისა და საკეთილოდ მოყვასთა. ნეტარხსენებულმა მიტროპოლიტმა ისიდორემ ყურადღება მიაქცია მას და ყველანი უქებდნენ მას, როგორც კეთილს და მორჩილს კაცს, ჭეშმარიტს მწყემსს, ნამდვილს ბერს და გამოცდილს ორატორს (ნოვგოროდელი ოქროპირი), ყველა ამათის შედეგი ის იყო, რომ არქიმანდრიტი ვლადიმირი დაინიშნა ნოვგოროდის ეპარქიის ქოროეპისკოპოსად; სამი წლის შემდეგ იგი დაინიშნა სამარის ეპარქიის ეპისკოპოსად; ხოლო 1 წლის და 8 თვის შემდეგ დაინიშნა საქართველოს ეგზარხოსად და წმ. სინოდის წევრად. ასეთი სწრაფი დაწინაურება ცხადათ ამტკიცებს დაწინაურებულის ღვაწლს!

თავი და თავი აზრი, რომელიც ასულდგმულებს და წინ უძღვის მთავარ-ეპისკოპოსის ვლადიმირის მოღვაწეობას მასში მდგომარეობს, რომ მათ მეუფებას შეგნებული აქვს უდიდესობა მწყემსური სამსახურისა და მწყემსის მოვალეობათა. არ შეგვიძლია აქ არ მოვიხსენიოთ პირველი მისი სიტყვა, პირველ კვირა დღეს ნოვგოროდში მისვლის დროს, სადაც იგი დაინიშნა ანტონის მონასტრის წინამძღვრად. მან ტემად აიღო მოციქულის პავლეს სიტყვები: რათა არა მ-ცხვენის მე სახარება ქრისტესი. ამ სიტყვებში მან განსაზღვრა თავისი მწყემსური მოქმედების ხასიათი და მიმართულება «როგორც ღვთის მსახურის.» — რათა იგი იქმნეს ყველასათვის მაგალითი სარწმუნოებაში, ცხოვრებაში, სწავლაში და საქმეში. ამ გზიდგან მას [illegible] არას დროს არ გადუხვევია და არც უხვევს. იგი მაგალითია ყველასათვის და მასთან თავის წოდების ღირსეულადაც ემსა-

ხურება. მისი მჭევრმეტყველური, მსმენელთა მთელობელი და დამარწმუნებელი სიტყვა გაისმის ყველგან, სადაც მას უმსახურნია და ასწავებს ყველას სარწმუნოებას და ქრისტიანულ ცხოვრებას: ყოველ მოხერხებულ დროს ამბობს იგი სიტყვას, ტაძრებში, შეკრებილებაში, მსაჯულების აღრჩევის დროს და სხვა-და-სხვა შემთხვევათა გამო; იგი მართავს ღვთის-მსახურების გარეშე საუბრებს (ნოვგოროდში მთელი 4 თვე განუწყვეტლად საუბრობდა) და სოფიის ვებერთელა ტაძარი ძლივს იტევდა ყველა მსმენელთ, რომელთაც სურდათ მოესმინათ საუბრები მწყემს-მთავრის ვლადიმირისა. მისი სიტყვა ძლიერ მოქმედებს, რადგან იგი ამტკიცებს მასს თავისი ცხოვრებით და მოღვაწეობით და მართლაც, ასწავლის რა სხვას სარწმუნოებას და ზნეობას, ამავე დროს იგი თვითონ არის კაცი ღრმად მორწმუნე, მაღალ ზნეობიანი, კეთილი (განსაკუთრებით ქვრივთა და ობოლთათვის), ზომიერი და თავდაჭერილი.

თვითონაც ასრულებს თავის მწყემსურ მოვალეობათა და ამავე დროს მათი მეუფება სასტიკად ითხოვს ამასვე მისდამი რწმუნებული სამღვდელოებისაგან სასულიერო წოდების და მსახურების სახელით. მწყემსმთავრის მოთხოვნილებანი მუდამ მაგონებს სამღვდელოებას, რომ სასულიერო წოდების წევრნი არიან სულიერნი მკურნალნი და მასწავლებელნი და ამიტომ დიდის ყურადღებით უნდა მოეკიდნენ იგინი მათგან ნატვირთ მოვალეობათა აღსრულებას; ბერებს მუდამ მოაგონებს, რომ მათ უკვე დასთმეს ეს ქვეყანა, თავისი საკუთრება და შესწირეს თავის თავი ღვთის-მსახურებას და ამიტომ საკმაო არ არის მარტო ბერობის სახელი და სამოსელი... მათი მეუფების ასეთი ზედ-მოქმედების წყალობით, სამღვდელოება ყველგან მუყაითად ქადაგებს ღვთის სიტყვას, მმართავს ღვთის-მსახურების გარეშე საუბრებს, ხსნის საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებს და მართავს საეკლესიო წიგნთ-საცავებს. ყოველივე ამას გამჭრიახეთ ადევნებს ყურადღებას მათი მეუფება, აფრთხილებს ზარმაცთ და ამხნევებს შრომისმოყვარეთ. ეპარქიის რევიზიის დროს მათი მეუფება ყურადღებას აქცევს ეკლესიების შემოსავალ-გასავალს, მაგრამ ამავე დროს მათი მეუფება მომეტებულ ყურადღებას აქცევს სამღვდელოების მოღვაწეობას და მასთან იკვლევს მათ კერძო ცხოვრებასაც. მაგრამ ყოველივე ამას მათი მეუფება ასრულებს სიწყნარით და ზრდილობიანათ: ხედავს მათი მეუფება, რომ მღვდელი ანუ მთავარ-დიაკვანი შრომობენ, ცხოვრებენ წესიერად, —აქებს მათ; თუ მღვდელი დაუდევარია, ანუ თავის წოდების შესაფერად არ იქცევა, შენიშვნას აძლევს მას, მაგრამ მოქმედებს მასზე არა შიშით და მუქარით, არამედ სინდისით; და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ხმარობს სასტიკ ზომებს.

როცა მათი მეუფება დაბძანდება ეპარქიაში რევიზიისათვის, ხშირად ნახულობს სამღვდელოებათა ოჯახებს, განსაკუთრებით თუ მღვდელს კარგის მხრით იცნობს, ანუ როცა შეუძლია ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ვისმეს, ანუ ანუგეშოს ვინმე. ერთხელ მათ მეუფებას მოუხდა შესვლა ერთი მდიდარი მღვდლის ოჯახში; ყოვლად სამღვდელომ დაინახა გაშლილი სუფრა, რომელზედაც ეწყო სხვა-და-სხვა საჭმელები და სასმელები. მათ მეუფებაზე, რომელსაც ყველაფერში ზომიერება და თავდაჭერილობა უყვარს, ამისთანა სანახაობამ ფრიად ცუდი შთაბეჭდილება იქონია. მათი მეუფება მიუბრუნდა მღვდელს და უთხრა: «თქვენ, მამაო, როგორც გეტყობათ, ძლიერ მხიარულად სცხოვრებთ; ხოლო მე მიჩვეული ვარ შევიდე იმისთანებთან, რომელთაც ცხოვრება უჭირსთ... მშვიდობით! ჩვენ, სასულიერო პირთ, არ შეგვფერის ასე მდიდრულად ცხოვრება!!! და გამობრძანდა უპურ-მარილოდ.

მათი მეუფება ითხოვს სამღვდელოებისაგან, რომ იგინი იყვნენ ჭეშმარიტნი მწყემსნი და ამავე დროს დიდს ყურადღებას აქცევს სასულიერო სასწავლებლებს, რომლებშიაც ამზადებენ ეკლესიის მომავალ მწყემსთ. იგი მოწადინებულია და ითხოვს, რომ სემინარიებიდგან გამოდიოდნენ ეკლესიის მწყემსნი და არა კარგი ადგილების და შემოსავლის მაძებარნი პირნი, ამიტომ დიდ ყურადღებას აქცევს სემინარიებს.

ბევრი რამ კარგი და სასარგებლო გააკეთა მათმა მეუფებამ თავისი ოთხი წლის მღვდელთ-მთავრობის განმავლობაში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კიდევ მომეტებულს გააკეთებს, ვინაიდგან საქართველოს ექსარხოსად დანიშვნით მათ მეუფებას წინ იშლება უფრო მომეტებული ასპარეზი მოღვაწეობისათვის. ამიტომ მათი მეუფება, როგორც კეთილი და ჭეშმარიტი მწყემსი, გულ-ხელ დაკრეფილი არ გაჩერდება.

## მთელი ივერიის და აფხაზეთის მეფე დავით III აღმაშენებელი.

ჩვენ ყველანი ოქროს საუკუნედ უწოდებთ თამარ მეფის დროს. გარნა თუ განგებულებას არ ენებებია დავით აღმაშენებლის გამეფება XI-ტე საუკუნეში, არ გვჯერა, რომ ისე დიდებული ყოფილიყო თამარ მეფის დრო, როგორი დიდებულიც შეიქნა დავით მეფისაგან მთელი საქართველოს სახელმწიფოს განმტკიცების და აღშენების შემდეგ.

1088 წელში, როგორც მოგვითხრობს მატიანე, იმერეთის და ქართლის მეფე გიორგი II-ემ დაუთმო სამეფო ტახტი თავის შვილს დავითს. ძალიან მძიმე დროს შეხვდა დავითს გამეფება. ალპ-არსლანის და მალექ-შახის ჯარების მრავალ გზის თავდასხმამ 40 წლის განმავლობაში, წინა-მოადგილის უზრუნველობამ და უვარგისმა მმართველობამ უკიდურესად დააუძლურა და გაახრა სამეფო, შეარყია კავშირი მეფესა და ქვეშევრდომთა შორის, დაბადა განხეთქილება სამღვდელოებას და სამწყსოთა შორის, თავადთა და აზნაურთა როგორც ერთმანეთში, ისე ხალხთანაც. გარყვნილება, თავ-გასულობა, თავის პირდა-პირ მოვალეობათა შესახებ დაუდევნელობა, სხვისი ქონების დასაკუთრება და ბევრი სხვა უკანონო მოქმედებანი, როგორც მოგვითხრობს მემატიანე—აი ჩვეულებრივი და ხშირი მოვლენანი მაშინდელ ქართველთა ცხოვრებაში. აი ამ გაჭირების დროს 16-ტი წლის მეფის წული დავითი, სავსე ძალით და სიცოცხლითა,—მამის სიცოცხლეშივე ვეზირების და ხალხის სურვილისა თანახმად იღებს ხელში სამეფო კვერთხს ამ უბედურებათა მოსასპობელად.

საქართველოს სამეფო, რომელიც ძლიერი იყო ბაგრატ მეოთხის დროს, XI საუკუნეში გიორგის მეორის, კუროპალატის დროს, სათათრეთის ძლიერების ზედგავლენისა გამო, ცოტ-ცოტად დანაწილდა. ზოგიერთი სამთავროები მოშორდენ და თათრების შემწეობით გამოცხადებულ იქმნენ დამოუკიდებლად. შემდეგ ამ სამთავროთა შორის ჩამოვარდა ჩხუბი და განხეთქილება, რომელმაც საქართველოს სამეფო მეტად დაასუსტა. ამით ისარგებლეს თათრებმა და გამოჩენილის სარდალის მელექ-სულთანის წინამძღოლობით ისინი შემოესივნენ საქართველოს სამეფოს სამზღვრებს, ყოველივეს, რაც კი მათ გზაზე ხვდებოდათ, სწვავდენ და ჩეხდენ. მეფე გიორგის ძლიერი ჯარი ბევრგან ამარცხებდა თათრების ჯარებსა, მაგრამ შემდეგ თათრები გახდენ საქართველოის სამეფოს მუდმივ მეზობლებად, და არას დროს მას მოსვენებას არ აძლევდენ. 1080 წელში თათრის მრავალი ჯარები შემოესივნენ საქართველოს ყოველი კუთხიდგან. ქრისტიან მოწამეების სისხლი მდინარესავით სდიოდა. ერთი ტკაველი მიწა არ დარჩენილა საქართველოში, რომ ქრისტიან ქართველების სისხლით არ მორწყულიყოს; ერთსა და იგივე დროს თათრებმა დასწვეს ქუთაისი და არდანუჯი. დარჩენ მხოლოდ ქალაქების, ეკკლესიების და მონასტრების ნახევრობით დანგრეული კედლები და ქვების გროვები. ვერ გამოსთქვამს კაცი იმ უბედურებას, რა უბედურება და რა წვალება ადგა უსჯულო თათრებისაგან საქართველოს მკვიდრთა. კახეთის მეფემ აგქსარტან I მიიღო მაჰმადის სარწმუნოება და თათრების შემწეობით დარჩა ისევ მეფედ. მთელი საქართველო გარდა აფხაზეთისა და იმერეთის ზოგიერთი ნაწილებისა სამწუხარო მდგომარეობაში იყო. ასეთ სამწუხარო მდგომარეობაში იყო საქართველო, როცა მეფე გიორგიმ გადასცა გვირგვინი თავის 16 წლის შვილს დავითს. დავითი მამის სიცოცხლეშივე აღყვანილ იქნა ტახტზე. მამის სიკვდილის შემდეგ 1089 წელში ახალგაზდა მეფე დავითი შეუდგა ფიქრს, თუ ივერიის ნანგრევებზე როგორ დაარსოს უწინდელი ძლიერი საქართველოს სამეფო და ხალხს როგორ მიანიჭოს მშვიდობიანი და მყუდრო ცხოვრება და როგორ განაახლოს დანგრეული მონასტრები და ტაძრები. „უფალო ძალითა შენითა იხარებდეს მეფე და გულისთქმა გულისა მისისა მიეც მას». მეფე დავითს იმედი ჰქონდა უფლისა, რომელსაც არ დაუგდია ის უშემწეოდ. უფალმა მიანიჭა მას ძალა ალსრულებად მისი კეთილი სურვილისა,

ჭაბუკმა მეფემ გაამართლა ყველას მოლოდინი და მოჰკიდა საქმეს ხელი სრული ენერგიითა და საქმის ცოდნით, როგორც შეეფერება მხოლოდ დიდბუნებიან, გენიოსობით და ღვთის კურთხევით დაჯილდოებულ კაცთა. აღადგინა რა სამეფოში მშვიდობიანობა და წესი, დავითმა აოხრებული სამეფო კვალად აღაჰყვავა კიდით-კიდემდე; განაახლა დამწვარნი სოფელნი და ქალაქნი და სამშობლო ქვეყანას მოსწმინდა შეურაცხობის ლაქა.

ქართლის მემატიანენი მოწმობენ, რომ როცა მეფე დავითი ტახტზე ავიდა, მთელს ქართლში არ ყოფილა არც ერთი შენობა, რომ თათრებისგან დანგრეული და გაცარცული არ ყოფილიყოს. მხოლოდ ერთი მთიანი სამთავრო, სახელად «კიდე კარი» მის გარემო მდებარე ადგილებით გადარჩენ თათრებისაგან დამხობას და აოხრებას. აქ იყო უძლიერესი თავადი ლიპარიტ ორბელიანი, რომელსაც სუროდა მეფობის ხელში ჩაგდება. თავისი პიროვნული ინტერესებისა და სულთან მელიქის სასიამოვნოდ მან მიიღო კიდეც მაჰმადის სარწმუნოება; ამის შემდეგ ის ძალიან მტრულად უცქეროდა მეფე დავითს, და მეცადინობდა, რომ მისგან სრულებით დამოუკიდებელი გამხდარიყო. მეფე დავითმა დიდხანს ითმინა მისი ვერაგობა, როგორც მისი ერისთავისა, მაგრამ ამპარტავანი ლიპარიტი არ ჩავარდა გულის ხმაში. ბოლოს მეფე დავითმა იხმარა ყოველივე საშუალება, რომ ლიპარიტი გასწორებულიყო, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ პატიოსნური ქცევით ვერას გააწყობდა ურჩ თავადთან, მოიხმო ის თავისთან. ლიპარიტი მალე გამოცხადდა. მეფე დავითმა ჩამოართვა მას თავადის ღირსება და ჩააჯინა საპატიმროში, სადაც მან გაატარა ორი წელიწადი. ამის შემდეგ ის გაგზავნეს კონსტანტინეპოლში სულთანთან, სადაც მალე კიდეც მოკვდა. ამ შემთხვევის შემდეგ მეფე დავითთან მოდიან კახეთის თავადები და უჩივიან კახეთის მეფეს აგქსარტანს ასლიკ მოქმედებისათვის. დავითმა შეიყვანა ჯარი კახეთის სამეფოის სამზღვრებში და გამოაგდო იქიდამ მეფე აგქსარტანი, ხოლო მის ადგილზე დასვა კახეთის მეფედ კვიდკე მეოთხე, რომელიც მთლად დამოკიდებული იყო დავითისაგან.

ამ მშვენიერი და ბრწინვალე გამარჯვებათა შემდეგ, რომელიც ჩაიდინა დავითმა, შირვანის და ახალციხის სამფლობელოებს სხვა თავადები თავის ნებით გამოცხადდენ დავითთან და ალიარეს მისი თვით-მპყრობელობა საქართველოში. ამის გარდა დავითი მთლად განთავისუფლდა მოუსვენარი თავადებისაგან, რომელნიც არყევდნენ სახელმწიფოის შინაურ მშვიდობიანობას და ამ სახით საქართველოში დამყარებულ იქმნა **ერთ-ხელმწიფობა.**

მაგრამ საქართველოის აღდგენისა და კეთილდღეობისათვის საჭირო იყო, რომ საქართველოის სამეფო სრულიად განთავისუფლებულიყო სათათრეთის მონებისაგან. ამ მიზნისათვის დავითმა დაიწერა ჯვარი კიპჩაკის მეფის ქალზე მშვენიერ გურანდუხზე. დავითმა ამ მეფის შემწეობით გაგზავნა ჯარი მთიულ ოსების წინაალმდეგ; ეს ოსები ხშირად ეცემოდენ ხოლმე ქართველებს და აწუხებდენ. ოსები დაემორჩილენ მეფე დავითს და მისი წინადადებისა მებრ 50,000 ოსმა მიიღო ქრისტიანობა. მეფე ატრაქის მრავალ რიცხოვანი ჯარის შემწეობით დავითმა შემოუერთა საქართველოს ყველა ის ადგილები, რომლებიც წინეთ განცალკევებულნი იყვნენ საქართველოს ერთობისაგან და სრულიად განთავისუფლდა ოსმალების უფლებისაგან და სულთანების ზედ-გავლენისაგან. ამ საქმეში დიდი შემწეობა აღმოუჩინა დავითს შემდეგმა გარემოებამ: 1101 წელში ჯვაროსნებმა დაიკავეს იერუსალიმი და ანტიოქია, რომლებიც დაპყრობილი ჰქონდათ მუსულმანებს. ამან ძალიან შეარყია სათათრეთის ძლიერება, ამისათვის სათათრეთმა უმეტესი თავისი ძალა მიჰმართა ჯვაროსანთა წინაალმდეგ. მეფე დავითმა იშოვა დრო და გამოუცხადა ომი მუსულმანებს, რომელნიც დაბინავებულნი იყვნენ მდინარე მტკვარის და იორის ჭალებში. ღვთის შემწეობით მეფე დავითმა სძლია მუსულმანებს და გააძევა ისინი არა მარტო ქართლიდგან, კახეთიდგან და ყარაბახიდგან, არამედ თავის სამეფოის ყველა ადგილებიდგან. ამის შემდეგ მეფე დავითმა გამოაცხადა თავის თავი დამოუკიდებელ მეფედ და უარი უთხრა სულთანს ხარკის ძლევაზე. ამ სახით მეფე დავითმა განათავისუფლა თავის სამეფო გარეგანი და შინაგანი მტრებისაგან და შემდეგ უმეტესი ყურადღება მიაქცია სახელმწიფოს შინაგან კეთილ-განწყობილებას; რომ უფრო კარგად ემართა ხალხი და უფრო გავრცელებია ხალხში განათლება, მეფე დავითმა დაანაწილა მთელი საქართველო რამდენიმე სამოურავოდ, თვითეულ სამოურაოს ჰყავდა თავისი საკუთარი მმართველი, რომელსაც მისდამო რწმუნებულ სამოურავოში უნდა აღედგინა ზნეობა და მოეცა თვითმნებლობა. ასრეთივე ზომები მიღებულ იქმნა სასულიერო უწყებაშიაც რადგანაც ოსმალების მფლობელობის დროს ქრისტეს სარწმუნოება ძალიან შეირყა. ქრისტეს სარწმუნოების აღსადგენათ მეფე დავითმა 1103 წელში მოიწვია კრება ქათალიკოზის იოანნეს მესამის თავსმჯდომარეობით. კრებაზე მოწვეულ იქმნენ ყველა შესანიშნავი მწყემსნი. ამ კრებაზე გამონახეს სხვა და სხვა ზომები, რომელთა შემწეობით უნდა აღედგინათ ეკკლესიის გარეგანი და შინაგანი კეთილ-დღეობა.

უწინდელს დროში საქართველოში სწავლა-განათლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონასტრებს. ამ მონასტრებიდგან, რომელნიც დაარსებულ იქმნენ სირიელ ბერთაგან, მთელს საქართველოში ვრცელდებოდა განათლება. მონასტრებში სწავლობდენ მეცნიერებას და სხვა და სხვა ხელოვნობას. მონასტრებიდგან გამოდიოდნენ ნასწავლი მწყემსნი, რომელნიც თავიანთი სარწმუნოებით და ცხოვრებით მაგალითნი იყვნენ სხვაებისათვის, მაგრამ დავითის გამეფების დროს, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, შესანიშნავი მონასტრები მთლად დანგრეულნი იყვნენ თათრებისაგან. ამ არეულობის დროს ისარგებლეს ზოგიერთ სასულიერო პირებმა და გამოაცხადეს თავის თავი ეპისკოპოსებად და უკანონოდ ხმარობდენ თავიანთ უფლებას. დაბალი სამღვდელოება და ეკლესიის მოსამსახურენიც ძალიან ცუდათ იქცეოდნენ. ამ უწესოების მოსასპობლად მეფე დავითმა საჭიროდ დაინახა სამღვდელოების კრების დანიშვნა, რომ ამ კრებაზე მოელაპარაკნათ საეკლესიო საქმეებზე. კრება კიდეც შედგა, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ.



დავით აღმაშენებელი.

ამ კრებაზე დაესწრნენ: არსენ იყალთოელი, მოძღვარი მეფე დავითისა, ეფრემ უნცროსი, იოანნე ტაიჭი, საბა სულაიძე, თეოფილე, ანტონ ტბელი, ექვთიმე გრძელი, და ივანე რუხვაძე. ამ კრებამ მსოფლიო კრებათა და ეკლესიურ კანონთა თანახმად, მისცა შეჩვენებას ისინი, რომელთაც უკანონოდ მიითვისეს ეპისკოპოსობა. კრების ასეთს დადგენილობას შეეძლო ცუდი შედეგები გამოეწვია, რადგან გადაყენებულ ეპისკოპოსებს, რომელთაც კავშირი ჰქონდათ დიდ და გავლენიან პირებთან, მათი შემწეობით შეეძლოთ დიდი ვნება მიეყენებიათ ეკლესიისა და სახელმწიფოისათვის; მაგრამ ბრძენმა დავითმა ეს საქმე ისე კარკად წაიყვანა, რომ კრების ამ გვარი დადგენილობით არავითარიმე ვნება არ მიცემია არც ეკლესიას და არც სახელმწიფოს. ამ კრებამ აგრეთვე გადააყენა მღვდელობისაგან და ეკლესიური მონანება დაუნიშნა იმ მწყემსთა, რომელნიც თავის ცხოვრებით და ზნეობით არ შეეფერებოდენ თავის ხარისხსა, ხოლო ეკლესიის დაბალი მოსამსახურენი შერიცხულ იქმნენ საერო წოდებაში. ამ სახით აღდგენილ იქმნა წესიერება ეკლესიის მმართველობის საქმეში. მაგრამ დანგრეული ეკლესიების და მონასტრების გასაახლებლად საჭირო იყო მეფის შემწეობა. მონასტრები და მათში მცხოვრები ბერები ხშირად იფარავდენ ხოლმე სახელმწიფოს აოხრებისაგან, ხოლო ხალხში იცავდენ სარწმუნოებას. ამიტომ მეფე დავითმა ყურადღება მიაქცია მონასტრებს და ეკლესიებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ სახელმწიფოისა და ხალხისათვის. დავითმა, როცა კი მოისვენა მტრებისაგან, მიჰყო ხელი დანგრეული და დაქცეული ეკლესიების და მონასტრების განახლებას და ახლების აღშენებას. სხვათა შორის, დავითმა აღაშენა წმ. გიორგის ეკლესია იმ ადგილს, სადაც დღეს გაენათის ტაძარი და აქვე დაარსა ღვთის-მშობლის სახელზე მონასტერი. მეფე დავითი ამშვენებდა ტაძრებს ძვირფასი ნივთებით; მეფემ ამ ახალ მონასტრებში შეჰკრიბა კეთილ-მორწმუნე ბერები, რომელნიც განსხვავდებოდენ თავიანთი წმიდა ცხოვრებით. მონასტრების და მათში მცხოვრებ ბერების შესანახავად მეფე დავითი დიდძალ ადგილმამულებს სწირავდა ხოლმე ამ მონასტრების და ეკლესიების სასარ-

გებლოდ. გაენათის მონასტერთან დავითმა დაარსა საავად-მყოფო და სამოწყალო სახლი სნეულთა და გაჭირვებულთათვის.

ივერიის ეკლესია, რომელიც კინაღამ მთლად არ დაიმხო მტრებისაგან, ხელახლად აჰყვავდა ძლიერი მეფის დავითის შემწეობით: აი ამისათვის მეფე დავითს ქართველი ხალხი უწოდებს აღმაშენებელს.

ამის შემდეგ დავითმა მიაქცია ყურადღება საქართველოის ზოგიერთ სამთავროებს, რომელნიც კიდევ თათრების ხელში იყვნენ. მაგრამ ჩვენ აქ არ შეუდგებით დავითის მრავალ გზის მტრებზე გამარჯვების აღწერას, რადგან ეს სამოქალაქო ისტორიის საქმეა. ჩვენ მხოლოდ შევეხებით დავით აღმაშენებელის კერძო ცხოვრებას.

მეფე დავითი შესანიშნავი იყო თავის წმიდა ცხოვრებით და ღვთისადმი დიდის სიყვარულით; ის ყოველთვის მზად იყო ედიდებია ღვთის სახელი. როცა მეფე დავითი მუსულმანებს ეომებოდა, ერთის მხრით სახეში ჰქონდა იმ სამფლობელოების შემოერთება საქართველოსთან, რომელნიც დაშორებულნი იყვნენ საქართველოს ერთობისაგან და მეორეს მხრით სურდა ქრისტიანობის აღდგენა იმ სამფლობელოებში, რომელნიც დაპყრობილნი ჰქონდათ თათრებს. როცა მეფე დავითი მტრებისაგან ისვენებდა, კითხულობდა სასულიერო შინაარსის წიგნებს, წმ. მამათა ნაწერებს და მტრებთან ჩხუბის დროსაც კი დადიოდა ეკლესიაში მწუხრის და ცისკრის მოსასმენად. მწუხრის მოსმენის შემდეგ მეფე დავითი კითხულობდა ხოლმე სულის სასარგებლო წიგნებს და როცა თავად არ შეეძლო კითხვა, ან დრო აღარ ჰქონდა, მაშინ სხვას დაიყენებდა თავისთან და იმას აკითხებდა ხოლმე. საღმრთო წერილის წიგნებში დავითს განსაკუთრებით უყვარდა თურმე სამოციქულოს კითხვა. როცა ამ წიგნს მთლად წაიკითხავდა ხოლმე, წიგნზე ასვამდა ნიშანს, რომელიც აჩვენებდა, რომ მან წიგნი ბოლომდის წაიკითხა. წლის დამლევს მემატიანეს მოთხრობით, წიგნის ბოლოს აღმოჩნდებოდა ხოლმე თურმე 24 ასეთი ნიშანი; აქედამ სჩანს, რომ წლის განმავლობაში 24 ჯერ წაიკითხავდა ხოლმე წმ. სამოციქულოს. დავითს უყვარდა საღმრთო წიგნების და წმ. მამათა ნაწერების კითხვა და მასთან თვითონაც ადგენდა სხვა და სხვა სძლის-პირთა. ერთის სიტყვით დავითი იყო მთელი აღმოსავლეთის მშვენიერება და მისი წყალობით ჰყვავოდა ყოველი კეთილი და ქრისტეს სარწმუნოება. ის იყო მაგალითი ყველა წოდების პირთათვის: პატარაობიდგან დაწყებული სიკვდილამდის მან არ იცოდა, თუ რა იყო ქვეყნიური დროს-გატარება და სასეირნო ადგილები. თუმცა მისი ძლევა-მოსილი ჯარი სხვა-და-სხვა თემის ხალხისაგან იყო შემდგარი, მაგრამ ამ ჯარში ძვირად ნახავდა კაცი რაიმე უწესო თამაშობას, დროს-გატარებას, გალობას და ჯარის კაცთა სასეირნო ადგილებში სიარულს; ჯარის საყვარელი ვარჯიშობა იყო სულის სასარგებლო წიგნების კითხვა, რომლის მაგალითს ჯარის კაცთა თვით მეფე აძლევდა. მეფე დავითის ვრცელი სამეფოის სამღვდელოება შესდგებოდა შესანიშნავ მღვდელმთავრებისაგან და თავის დროის შესაფერ ნასწავლ პირთაგან, რომელთაც თავის ნაწერებით დაამშვენეს სასულიერო მწერლობა საქართველოს ეკლესიისა. ტაძრები, მონასტრები და ლავრები გამშვენებულნი იყვნენ ყოველივე საჭირო ნივთებით. საქართველოის ეკლესია დავითის დროს წარმოადგენდა ერთ ვრცელ ტაძარს, რომელშიაც მსახურებდენ გამოჩენილნი მწყემსნი; ეს მწყემსნი განსხვავდებოდნენ წმ. ცხოვრებით. მეფე დავითს უყვარდა ბერები და მღვდელმონოზვნი და მათთან ხშირად მთელი დღე ბაასობდა სარწმუნოებაზე. თვითონ დავითი მიმართულებით ნამდვილი მღვდელმონოზე იყო. თუმცა დავითს შეძლება ჰქონდა, მაგრამ ეკლესიისაგან დაწესებულ მარხვას ძალიან სასტიკად ინახავდა.

(დასასრული შემდეგ №-ში)

## ექსპრომტები.

მეგობრებო! ძველი წელი
შავს ზღვას გაღმა გავაცილოთ,
ჲ ახალს წელს მოულხინოთ,
უშნოთ მაინც გავიცინოთ.

ძველი წლით დაჩაგრულსა,
მხამითა მაქვს გული სავსე,
მაგრამ მაინც ახალს წელსა
მოვილხინო მსურს მე ასე:

დავითის ქნარს, წინწილს, ებანს,
ყველას ერთად ავაჟღერებ,
გაურკვეველს ამათ ხმაზე
ჩვენს ჭირს დ ლხინს დავამღერებ.

—

ღმერთმან ჰკითხოს ხოლერასა,
რაც მან წრეული აგვაოხრა,
მუშა ხალხი გაგვიწყვიტა,
გაგვიჩინა ყველას ოხვრა!
შვილი მშობელს, მშობელი შვილს,
ქმარი ცოლსა დააცილა!
პატარძლები დააქვრივა,
აატირა, ააწივლა!
ვინაც ფული ბლომათ თოხლა,
ის დღეს ხარობს დ ნეტარებს,
გული წყდებათ, რომ არ ერგოთ,
ისე ბლომათ «სანიტარებს».

—

ამ ჩვენს ცრუსა პატრიოტებს,
ამ ჩვენს ინტელიგენტსაო,
ნუ დაგვზრახავს მისთვის ვინმე,
თავზე დავსცემ დიდს კეტსაო.
ეგებ ამით გაიღვიძონ,
საქმეს მიჰყონ მათ ხელიო,
ან დაადგენ ახალ გზასა,
ან შეიგნონ რამ ძველიო.

—

ქართველ წიგნის გამომცემლებს
ქება გვინდა რომ შევკადროთ,
მათს დაზრახვას ვერ გავბედავთ,
თუ გინდ ყელიც გამოგვლადროთ.
ამხანაგი მსწრაფლ გაუჩნდა,
ხანი აღარ დააყოვნა,
მაგრამ იმათ არ მიიღეს,
გვიკვირს!!... ამან დაგვაღონა.
ღმერთმან ხელი მოუმართოთ,
მიზანია ერთობ კარგი,
სითაც გნებავთ, შეაბრუნეთ,
„სიბრძნისაა ერთი დარგი".

ერთსაც ვურჩევთ: წმიდა მიზანს
ვაჭრულ წესს ზედ ნუ დავატანთ,
ძლივს მანეთად თუ წიგნი ღირს
ზედ მეტს კუდათ ნუ გავატანთ.

—

დიდებულად მიულოცოთ
მას, ვინაც შვა „ივერია",
გასაზრდელათ სხვას მიუგდო,
ასე საქმე აგვერია.
დუმიკო და ორანები
აუმღდა და აქუცმაცა,
ვისი ლანძღვაც მას უნდოდა
ალანძღვია, აავუბაცა...
კიდევ კარგი, ამ ბოლოს დროს
ცოტათ შესწყდა მათი კვალი
და გაზეთმაც... ვისურვებთ, რომ
შეასრულოს თვისი ვალი.
აქ ბატონი რას აკეთებს,
მეთაურობს, თუ ტყვილა წევს?
ნუ თუ მხოლოდ იგი კმარა,
გაზეთს კუდზე ხელს რომ აწერს!

—

აკაკიმ თქვა: სამშობლოს და
ზესთა ზენას ვფიცავვარო,
გინდ შემწვით დ გინდ მომხარშეთ,
რაც რომ ვიყავ, ისა ვარო.

—

გიორგიმ კი: წერა მიყვარს,
ჯერ ვერ დავდებ უღელსაო,
სიყრმითგან გვაქვს ეს ზნე წესად
მე დ ჩემს მეუღლესაო.

—

ამგვარ მწერლებს თანაუგრძნობ,
არ ვისგანა მოსყიდული,
წმიდა მიზნის მუშაკია,
ვითარ ქრისტეს მოციქული.
მათს ქებასა ვერ ვიკისრებ,
არც მთანხმდება ეს გულია,
რადგან „პირში მაქებელი
ეშმაკის მოციქულია".

—

ლექსებს კარგს სწერს სილოვანი,
პოეტია, ვიცნობთ, გვჯერა,
ხშირათ არ სწერს, ზარმაცობს თუ
მუზამ აღარ ჩაუბერა?

—

ნიკოლაძეს, კეზელს, ხონელს,
დაავიწყდათ მშობლის ენა!
რა ეშმაკმა შეაყვარათ
სხვა კილო და უცხო ენა!

—

ხონელმა სთქვა: აქ რა მინდა,
წავალ დ̃ ვსწერ „კასპში“ ბაქოს,
მერმეთ ვნახოთ, ღამბაშიძემ
თუ რომ რისხვით დამიბაქოს!

—

ქაიხოსრომ უცხო გვარათ
ანბანი რომ ჩამორითმა,
ორანს რატომ დაავიწყდა
მაზედ სჯა და ბრიყული თქმა...

—

ვერ ვაუგებთ ჭი-ესა,
გვახსოვს, სწერდა ერთხელ კარგა,
ნეტა ეხლა გვაცოდინა,
რომელ მხარეს გადიკარგა.

—

მაბეზღარი დაბეზღების
უსტარით, რომ დაიმედდა,
იგი მიზანს ვერ მიახწევს,
რაც ტყვილათ არ დაიუმედა.

ფლიდობით სურს თვისი ბედი
ააყვაოს, დაამშვენოს,
როგორც მართალს გზას ადგია,
ისე ღმერთმა ააშენოს.

—

ამხანაგთა ფულის დამცველს,
მგოსანმა რქვა: „ძამიაო,
შიმშილი მკლავს, სამი დღეა,
პური არ მიჭამიაო».

«ფული რომ გაქვთ, მომასესხეთ,
ეგებ გავძლე ბედკრულიო,
გადაგიხდით როგორც ძმა და
ამხანაგი ერთგულიო».

ასესხეს დ̃ გამოაძღეს,
გაისტუმრეს სამშობლოში,
მერმე გვიან ისევ სთხოვეს
რაც ასესხეს თვისი გროში.

მგოსანი ხომ მოხერხების
უცნაური ტალგვესია,
უთხრა: «მახსოვს ოდესღაცო,
მშიერი გავისესხეაო».

თქვენ ჩემთვის რა გისესხნიათ,
რომ მთხოვთ, განა ეს წესია!?

«თუ შიმშილით იხოცებით,
ბარემ დაწყდით დროთ დ̃ ხანით,
ან არა დ̃ აქ მოდოღდით,
ჩემებრ თოხნეთ, ბარეთ, ხანით»!.

—

შარშან გვიქეს, მოგვეწონა
გაუწვრთნელებს რომ წრთვნის მთაში,
წრეულს თურმე ბარათ დადის,
ბლაღოჩინებს კეტს სცემს თავში.

თქმულა: ღამით ხე რომ ბრწყინავს,
არ მოცთე, არ უყურო ვო,
მოსტყუვდები ახლოს მისვლით,
ხელს შეგრჩება ფუქურო ვო.

ბესო გმირაძე.

# ლ ე ქ ს ი.

ბლეხს რომ ჰკითხოთ, ისიც გეტყვისთ:
პოეტია აკაკიო,
მაზედ უკეთ ვერვინ შეთხზა
ზღაპრები, ვერც არაკიო.

—

რასაცა სწერს, ჩვენც კი გვესმის,
ხან ვსტირით, ხან გვაცინებსო,
საქებს შესაფერად გვიქებს,
საძრახავს კი გვიწუნებსო.

—

სიმართლეს არა ჰღალატობს
შავს თეთრად არ გვაჩვენებსო;
რა გინდ ბედმა უღალატოს,
მაინც მტრებს არ ახარებსო.

—

მისი ლექსი ხან თაფლია,
ხან კი მწარე სამსალაო;
ორივესთვის უხვად მოსდევს
მას საჭირო მასალაო.

—

ვერ შეარყევს იმის რწმენას,
ვერც წყრომა; ვერც ალერსით,
თავის ფარ-ხმალ—იარაღად
გაუხდია მას ლექსი.

—

ქართველების დიდებაა,
მათის ენის სიმდიდრეო,
სიმართლისა მეგობარი
და სიმუხთლის მეშურნეო...

ქაიხოსრო გელოვანი.

## გაუმარჯოს ახალს ჟურნალს «კვალს»!

მადლობა ღმერთს მოვესწარით სალიტერატურო ჟურნალის დაარსებას. ჭეშმარიტად სამწუხარო იყო, რომ რამდენიმე საპატიო პირებს, რომელნიც ჟურნალის დაარსებას თხოვილობდენ, უარი გამოეცხადათ. ამავე დროს სხვა თემის ხალხს-კი დაუბრკოლებლად ეძლეოდათ ნება მთავრობისაგან სხვა-და-სხვა გამოცემათა დაარსებისა. ყველა ჭეშმარიტი ქართველი, დარწმუნებული ვართ, სიხარულით მიეგებება ამ ახალი ჟურნალის დაბადებას გარდა «ივერიისა», რომელსაც მაჭმადებურად მტკიცედ სწამს და აღიარებს, რომ არ არს გაზეთი თვინიერ „ივერიისა“ და წინასწარმეტყველი მისი არის თვით ილია ჭავჭავაძე.

ვისურვებთ ამ ჟურნალის დღეგრძელობას, ხოლო მის მოღვაწეთა და მუშაკთათვის მხნეობას და ნაყოფიერს შრომას!.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

—

დიდი ხანია, რაც სხვა-და-სხვა ეპარქიის ქალაქებში ერთ პირს მიაკუთნეს სეფისკვერების კეთება. ეს პირნი ამ უფლებისათვის კარგა ძალ ფულს იძლევიან სასწავლებლის სასარგებლოდ. მაგრამ ეს ვერ მოუხერხებიათ ჯერეთ ქუთაისში. აქ ყველა კანდიტერებს უფლება აქვსთ სეფისკვრის კეთებისა და თავის ნებისაებრ ყიდვისა. ამ უყურადღებობით ორი ზარალი მოდის. ერთი ის, რომ კანდიტერები თავის ნებით ყიდიან თითო შაურად იმისთანა სეფისკვერს, რომელიც 2 კაპეიკზევით არ უნდა იყიდებოდეს და მეორე ის, რომ როგორი ფქვილისაგან და ან როგორ აკეთებენ, ისიც ერთმა ღმერთმა იცის. დროა ყურადღება მიაქციოს ამას ქალაქის სამღვდელოებამ...

***

დღემდის ადგილობითი მღვდელ-მთავრებს უფლება ჰქონდათ საეპარქიო და საარქიერო სახლის საჭიროებისათვის ეკკლესიებიდამ და მონასტრებიდამ ფულები დაესესხებიათ. მაგრამ უწმ. სინოდის ახალი განჩინებით დღეის შემდეგ აკრძალულია ამისთანა ფულების დასესხება ხსენებულ საჭიროებათათვის უწ. სინოდის ნება-დაურთველად.

***

ტყუილია გაზ. „ივერია“-ში მოხსენებული ამბავი, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში იანვრის თვიდამ პანსიონი დაიხურაო. პანსიონის დახურვა გარდაწყვეტილია სამღვდელოების უკანასკნელი კრების განჩინებით, რომელიც დამტკიცებულია ყოვლად სამღვდელოსაგან, მაგრამ პანსიონის დახურვა გადადებულია ამა წლის სექტემბრის პირველ რიცხვამდისინ.

***

სამეგრელოის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების მორიგი კრება დანიშნული იყო 12 ამა იანვრის რიცხვს. ამ კრებაზედ, სხვათა შორის, სამღვდელოებას მსჯელობა ექნებოდა სასწავლებლისათვის ახალი სახლის აშენების შესახებ. საკვირველია, რომ ასე გვიანდება ამ სახლის აშენების საქმე. ჩვენ ვიცით, რომ ამ სახლის ასაშენებლად კარგა ძალი ფული იყო შეკრებილი და აქნობამდისინ შეიძლებოდა კიდეც მიდგომოდენ სახლის შენებას.

***

რუსეთის ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ ძველი ქაღალდის ფული რომელიც მოჭრილია 1868 წელს, 50, 25, 10, 5, 3 და 1 მანათიანებისა და

1880 წელს მოჭრილი 25 მანათიანის ახალ ფულზედ შეცვლის უკანასკნელი ვადა დანიშნულია 1 მაისს 1894 წელს. მას შემდეგ ზემოდ მოხსენებულ ქალალდის ფულს არსად არ მიიღებენ და არც ფასი ექნება.

გარეგანი ნიშნები გასაცვლელ ძველ ფულისა შემდეგია: მოჭრილი 13 თებერვალს 1868 წელს:

50 მანათიანი—იმპერატორ პეტრეს სახეა გამოხატული.

25 მანეთიანი—მეფე ალექსი მიხეილის ძის სურათით.

10 მანეთიანი—მეფე მიხეილ თეოდორეს ძისა.

5 მანეთიანი—დიდი მთავარი დიმიტრი დონელისა.

3 და 1 მანეთიანებზედ მეორე გვერდის შუა ალაგას წელიწადია აღნიშნული, როცა მოსჭრეს.

20 ოქტომბერს 1880 წელს მოჭრილი:

25 მანეთიანი თეთრია და მეორე მხარეს უნახატო და ბეჭედ-დაუსმელი.

## არა საეჭვო კითხვის განმარტებისა გამო.

ამ მცირე ხანში მრავალ პირთაგან მივიღეთ ჩვენ წერილები, რომლებშიაც პატივცემულნი სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურენი გვთხოვენ განუმარტოთ, თუ როგორ მოიქცნენ იგინი რუსულად საბუთების შედგენის შესახებ იქ, სადაც თუმცა მღვდელს ოთხი კლასის კურსი აქვს დამთავრებული, მაგრამ სრულებით არ იცის რუსული ენა და წერა, ან სადაც მღვდელმა იცის ცოტა რუსული წერა, მაგრამ მედავითნეებმა არ იციან რუსული? ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს ამისთანა წერილები. კანტორის განჩინება საეკკლესიო საბუთების რუსულად შედგენის შესახებ ცხადათ და გარკვევით არის დაწერილი. იქ არის ნათქვამი, რომ სადაც სემინარიელი მღვდლები არიან, რასაკვირველია, რუსულად შეიძლებენ შედგენას და იქ რუსულად აწარმოვონ საეკკლესიო საბუთები. ამასთან სადაც ოთხ-კლასიანი სასწავლებლის კურსი აქვთ დამთავრებული მღვდლებს და კარგად იციან რუსული, კანტორის უქაზით იქაც შეიძლებენ შედგენას რუსულად. ბლაღოჩინებს მოვალეობად ედგინებოდა, რომ წარედგინათ სია, თუ რამდენ კრებულს შეუძლია რუსულად საბუთების შედგენა, რომ კანტორამ იცოდეს, თუ ვისი საბუთები უნდა იყოს რუსულად შედგენილი და ვისი არა. აქედამ აშკარად სჩანს, რომ სემინარიელებს გარდა, რომელნიც კალდებულნი არიან რუსულად აწარმოვონ საეკკლესიო საბუთები, სხვაგანაც, სადაც შეუძლიათ რუსულად საბუთების შედგენა, იქ შეადგენენ რუსულად და სადაც არ შეუძლიათ, იქ ქართულად. ამას რაღა განმარტება უნდა. მედავითნეებზედ სრულებით არაფერია ნათქვამი. თუ მღვდელმა არ იცის რუსული მედავითნის რუსული მღვდელს რას მოეხმარება. ეს ასეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგან თურმე განგებ აძნელებენ და სულ სხვანაირად ხსნიან და უცხადებენ მღვდლებს, იცი რუსული თუ არა, მაინც რუსულად უნდა შეადგინოთ საბუთებიო. აი სწორედ ეს არის სამწუხარო. ზოგიერთი თურმე თაკილობს ქართულად საბუთების შედგენას და სურვილს აცხადებს, რუსულად შევადგენ საბუთებსო, როდესაც ქართულადაც ვერ ახერხებს მათ წარმოებას!..

## ნარევი.

„ისტორიულ მახარებელში" მოყვანილია რამდენიმე საინტერესო შემთხვევა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის განსვენებული ხერსონის მთავარ-ეპისკოპოსის ნიკანორის ცხოვრებიდგან. ავტორი მოგვითხრობს შემდეგ შემთხვევას... «ერთხელ ქალაქს N დღესასწაული იყო. დღესასწაულის შემდეგ მშვენიერი სადილი ჰქონდა გამართული ერთ უმაღლეს მმართებელს. სადილზე, ყოვლად სამღვდელოს ცოტა მოშორებით იჯდა ერთი ახალგაზდა ადიუტანტი, რომელიც დიდის სიამოვნებით ისმენდა მთავარ-ეპისკოპოსის ნიკანორის საუბარს. პურის ჭამის დროს ფარეშმა ყოვლად სამღვდელოს მოართვა გოჭის ხორცით სავსე პინაკი. მათმა მეუფემ ვერ შენიშნა ფარეში, რადგან ლაპარაკში იყო გართული. ამ ახალგაზდა აფიცერმა შენიშნა ეს და მათ მეუფეს გააწყვეტინა საუბარი შემდეგი სიტყვებით:

«თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ, მიიღეთ და სჭამეთ!..

შეიძლება ამ აფიცერმა არც კი იცოდა მონასტრის წესდება საჭმელების შესახებ, შეიძლება მან განგებ ანუ მოუფიქრებლად ჩაიდინა ეს, მაგრამ ეს ვინ იცის. აფი-

ტრის ასეთმა მოუფიქრებელმა საქციელმა ყველა იქ დამსწრეზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და დიდი სიჩუმე ჩამოვარდა. მათმა მეუფებამ შეხედა ადიუტანტს და უთხრა:

„—გააგრძელეთ!

„აფიცერი ალბად მიხვდა, თუ რა ცუდად მოიქცა და მთლად გაფითრებული იჯდა და ხმის ამოღებასაც ვერ ახერხებდა.

„—გააგრძელეთ!—გაიმეორა უფრო ხმამაღლა და მკაფიოთ მღვდელ-მთავარმა.

„ადიუტანტი ხმას არ იღებდა და მოხარული იყო იქვე მიწა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო. სტუმრები დიდის ყურადღებით ელოდნენ, თუ რითი გათავდებოდა ეს შემთხვევა.

«—გააგრძელეთ რადა!—წარმოსთქვა მესამე ჯერ უფრო ძალ-დატანებით და ბრძანების ხმით მათმა მეუფებამ.

საწყალი აფიცერი სდუმდა.

«—თქვენ ალბათ, არ იცით, როგორ უნდა დაასრულოთ? ხომ?—კითხა მათმა მეუფებამ. მაშ ნება მომეცით, მე დავასრულო თქვენგან დაწყებული და ყველა მართლ-მადიდებელი ქრისტიანესათვის გასაგები ტექსტი... თქვენ აი რა უნდა გეთქვათ შემდეგ: «ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი მისატევებლად ცოდვათა... ხომ ასეა!

«—დიახ, დაბალის ხმით მიუგო ადიუტანტმა, რომელმაც ახლა უფრო კარგად შეიგნო თავისი მოუფიქრებელი საქციელი.

«—ძლიერ კარგი,—გააგრძელა მათმა მეუფებამ,—თქვენ უნდა გეთქვათ: «მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი“,—მაგრამ თქვენც დამეთანხმებით, უმაწვილო, რომ მე სრულებით ფიქრად არა მაქვს, თქვენი ხორცი ვსჭამო!

«—მაპატიეთ, თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ! წარმოსთქვა თვალ-ცრემლიანმა აფიცერმა...

«—მე კი არ უნდა მთხოვდეთ მოტევებას, არამედ იმას, ვისი სიტყვებიც თქვენ ასე მოუფიქრებლად და აუდგილოთ წარმოსთქვით აქ!

ამის შემდეგ მათმა მეუფებამ ხელახლა გააგრძელა საუბარი, რომელიც აფიცერმა გააწყვეტია.

მეორე ამგვარივე შემთხვევა... ერთხელ ერთმა წარჩინებულმა პირმა ქალაქს ო. მიიპატიჟა მათი მეუფება მიცვალებულის წესის ასაგებად. წესის აგების შემდეგ ყველა იქ დამსწრე პირნი მიპატიჟებული იყვნენ სადილზე. თუმცა მარხვა იყო, მაგრამ სტოლზე დამზადებული იყო სახსნილო საჭმელები. როცა ყველანი დასხდნენ, სახლის პატრონი მიუბრუნდა მათ მეუფებას და მორიდებით სთხოვა სტოლის კურთხევა. ამის პასუხად მათმა მეუფებამ მიუგო: «როგორც უმაღლესი წარმომადგენელი მართლ-მადიდებლობისა, მე არას გზით არ შემიძლია ვაკურთხო და ნება დავრთო იმას, რაც სასტიკად აღკრძალულია ჩვენი ეკლესიის წესდებით; მაგრამ, ჩემის ფიქრით, ეს შეუძლია ჰქნას ფრანგთა პასტორმა, რომელიც აქვე თქვენ, შორის, იმყოფება და რომელსაც მე ვსთხოვ ამას.

მათმა მეუფების სიტყვებმა თავზარი დასცა როგორც მასპინძელს ისე ყველა იქ დამსწრე სტუმრებს.

აი კიდევ შემთხვევა, რომელიც ცხადათ მოწმობს, თუ რა დამოკიდებულება სუფევდა მათი მეუფების და მისდამი რწმუნებული სამღვდელოების შორის. ერთხელ მათმა მეუფებამ თავის სასახლეში მიიპატიჟა მღვდლები და კარგადაც გაუმასპინძლდა მათ.

სადილის შემდეგ, მათი მეუფების ბრძანებით სასტუმრო ოთახში გაშალეს კარტის სათამაშო სტოლები და თვითონ მღვდელ-მთავარმა სთხოვა მღვდლებს გაერთოთ თავი კარტის თამაშით...

თხოვნის განმეორება არ დასჭირვებია მათ მეუფებას. სტუმრები მაშინვე დიდის აღტაცებით შემოუსხდნენ სტოლებს და დაიწყეს კარტის თამაში. მაგრამ ამ დროს მათი მეუფება წამოდგა სკამიდამ და მრისხანე სახით წარმოთქვა შემდეგი:

«—ძმებო, ჩემდა სამწუხაროდ, მე ეხლა ჩემის საკუთარის თვალით ვხედავ იმას, რაც მე არ მჯეროდა და რაც მართალი ყოფილა, როგორც მე ამას არა ერთ გზით მაცნობებდნენ ხოლმე. და მრისხანებით დაუწყო საუბარი სტუმრებს.

მოთამაშეებმა მაშინვე დაყარეს კარტები, წამოდგნენ ფეხზე და მთელი ერთი საათი ისმენდენ მხილებას თავისი მწყემს-მთავრისაგან, შესახებ მისა, თუ რა ცუდი ზედგავლენა აქვს კარტის თამაშს როგორც საზოგადოდ კაცობრიობაზე, ისე კერძოდ სამღვდელოებაზე. ამის შემდეგ იქ დამსწრე პირნი შიშით იგონებდნენ ხოლმე ამ შემთხვევას და ბევრმაც სამუდამოდ მიატოვა კარტის თამაში».

მიიღება ხელის-მოწერა 1893 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

# „მწყემსზე“ და

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და ძლვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

## ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | «მ წ ყ ე მ ს ი» 5 მ. | 6 თვით | «მ წ ყ ე მ ს ი» 3 მ. |
| — ,, | ორივე გამოცემა 6 » | — ,, | ორივე გამოცემა 4 » |
| — ,, | რუსული ,, 3 მ. | — ,, | რუსული ,, 2 მ. |

სოფლის მასწავლებელთ «მ წ ყ ე მ ს ი» დაეთმობათ მთელის წლით სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც**.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію журналовъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

---

მიიღება ხელის-მოწერა **1893** წლისათვის ორ თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

# „ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა-ცხოვრების აღწერა, პიესები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ეღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

---

ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ა ნ ი ა ხ ა ლ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი

# „კ ვ ა ლ ი“

(დამატება «ჯეჯილისა»)

გამოვა 1893 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის სახალხო სამკითხველოში. ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა შეუძლიანთ მიიქცენ «ჯეჯილის» რედაქციაში ამ ჟურნალის დასაბარებლათ.

წლიურად ეღირება გაუგზავნელად 7 მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან.

ვინც «ჯეჯილსა» და «კვალს» ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ეღირება გაუგზავნელად 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა.

---

შინაარსი: ახალი 1893 წელიწადი.—წერილი მეგობართან.—მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ვლადიმირი, მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა და კახეთისა, ექსარხოსი საქართველოსი.—მთელი ივერიისა და აფხაზეთის მეფე დავით მესამე აღმაშენებელი.—საახალწლო ეკსპრომტები.—ლექსი.—გაუმარჯოს ახალ ჟურნალს «კვალს»!—ახალი ამბები და შენიშვნები.—საეჭვო კითხვების განმარტება.—ნარევი.

---

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 15 Января 1893 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.